

ქ. ელენე  
ნ. ევალიანი



საქართველო  
ტექნიკური  
ჟურნალი  
ციმა  
და განვითარება

თბილისი

ქ. შღვერი, ნ. ავალიანი

სამპურნალო  
ცანვარჯიშის კომპლექსი  
გინაზუ ციმსუქის  
I, II და III  
სარისხის დროს



გ ა გ თ გ ვ ე მ ლ თ ბ ა  
„საბჭოთა სახალთგელო“  
თბილისი  
1965

615.33

615.825.1

ქ 992

ჭარბი სიმსუქნე აღამიანის ჭანმრთელობის მაჩვენებელი  
როდია. ეს არის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშ-  
ლის ერთ-ერთი სახე, რასაც დროულად სჭირდება ყურად-  
ღების მიქცევა და აღკვეთა. ამ დროს უდიდესი მნიშვნე-  
ლობა ენცეცება ძვებისა და მოძრაობის რეფიმის დაცვას.

ამ ბროშურაში მოცემულია სამკურნალო ტანგარჯიშის  
კომპლექსები სიმსუქნის + I, II და III ხარისხის მიხედ-  
ვით, რომლის ღირებულებასაც ზრდის მათი ბინაზე შეს-  
რულების შესაძლებლობა და დეტალური დასურათება.

---

Жгенти Кетевана Константиновна  
Авалиани Николай Аполлонович

**Лечебная гимнастика на  
дому при ожирении**

(На грузинском языке)

Издательство  
„Сабчота Сакартвело“  
Тбилиси, Марджанишвили, 5  
1965

სიმსუქნე არის ნივთიერებათა ცვლის მოშლის ისეთი სახე, რო-  
დესაც ორგანიზმში გადაჭარბებულად ლაგდება ცხიმი.

აღამიანის ორგანიზმში ცხიმოვანი ცვლის რეგულაცია ცენტრა-  
ლური ნერვული სისტემის, ვეგეტატიური ნერვული აპარატისა და  
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლუბის მოქმედებით არის გაპირობე-  
ბული.

არჩევენ სიმსუქნის ორ ფორმას: ეგზოგენურს, როდესაც სიმ-  
სუქნე გამოწვეულია გაძლიერებული კვებით და ენდოგენურს,  
როდესაც სიმსუქნე გაპირობებულია შინაგანი ჯირკვლების სხვა-  
დასხვა დაზიანებით (ფარისებრი ჯირკვალი, ჰიპოფიზის დაზიანება,  
სასქესო ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითება, კუტუკანა ჯირკვლის  
ჰორმონის—ინსულინის რაოდენობის გამოყოფა).

ჯანმრთელ აღამიანში ცხიმი შეადგენს წონის 10—20 %-ს.  
გარკვეულ წარმოდგენას ცხიმის რაოდენობაზე წონა-სიმაღლის  
მაჩვენებელი იძლევა. მაგალითად, ერთ სანტიმეტრ სიმაღლეზე  
წონა უნდა მოდიოდეს 350-400 გრამამდე.

სიმსუქნეს ვარჩევთ სამი ხარისხის მიხედვით. პირველი ხარის-  
ხის სიმსუქნედ ითვლება ისეთი შემთხვევები, როდესაც აღამიანი  
იწონის თავისი ნორმის მაქსიმუმზე 10-29 %-ით მეტს. პირველი  
შეხედვით ასეთი ავადმყოფი ჯანმრთელის შთაბეჭდილებას ტოვებს,  
მაგრამ ფიზიკური მუშაობის დროს აღენიშნება ქოშინი, ზედმეტად  
აჩქარებული მაჯისცემა, აღვილად იღლება, ძლიერ ოფლიანდება,  
ჭიმის მაღა გაძლიერებული აქვს, შრომის უნარი შენარჩუნებული.

მეორე ხარისხის სიმსუქნის დროს ნორმალური წონის მაქსიმუ-  
მი მომატებულია 30—45 %-ით. ასეთ ავადმყოფებს სიარულის  
დროსაც ეწყებათ ქოშინი და გულის ფრიალი, ემატებათ მუცლის  
გარშემოწერილობა და ჭიმის შემდეგ ძილისადმი მიღრეკილება  
აღენიშნებათ. ამ სტადიაში არც თუ ისე იშვიათია გულ-სისხლძარ-  
ღვთა სისტემის უკმარისობის მოვლენები.

მესამე ხარისხის სიმსუქნის შემთხვევაში ნორმალური წონის

მაქსიმუმი 50—90%-მდეა მომატებული. ასეთ ადამიანს გძიმე ავადმყოფად თვლიან. ამ დროს ყველა ორგანოთა სისტემაში აღინიშნება პათოლოგიური ცვლილებები, ამიტომ მკურნალობა საჭიროა საავადმყოფოს პირობებში. სიმსუქნის დროს საჭიროა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების, ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის ღრმა და კომპლექსური საექიმო შემოწმება.

სიმსუქნის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობისა და კვების რეჟიმის დაცვას.

ჯანმრთელი ადამიანი დღის განმავლობაში უნდა იღებდეს 100—120 გ ცილას, 80—100 გ ცხიმს და 400—500 გ ნახშირწყლებს. საკვების ეს რაოდენობა შეიცავს 3500 კალორია სითბოს, რაც სრულიად საკმარისია ორგანიზმში მიმღინარე ფიზიოლოგიური პროცესებისათვის.

სიმსუქნის დროს ნაჩვენებია განსაკუთრებული კვების რეჟიმი — ბოსტნეულით მდიდარი საკვები, რძის ნაწარმი (ხაჭო, მაწონი), ახალი თევზი, ხორცი (უმჯობესია მოხარშული). მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მარილის ხმარება. დღე-ლამეში მიღებული სითხე არ უნდა აღემატებოდეს 5—6 ჩაის ჭიქას. სიმსუქნის მკურნალობის დროს მიზანშეწონილია ჩატარდეს ე. წ. ხორცის განტვირთვის დღეები კვირაში ერთხელ ან ორჯერ. მ. ეგოროვისა და ლ. ლევიტოვსკის მიხედვით: უნდა ავიღოთ მჭლე ძროხის ხორცი 600 გ (360 გ მოხარშული), მწვანე ბარდა 200 გ, ახალი კომბოსტო—280 გ, ყავა ორი ჭიქა (უშაქროდ), რძე 200 გ და ასკილის ნახარში ორი ჭიქა.

**მიღების წესია:** ხორცს და გარნირს ვაძლევთ თანაბარ ულუფებად 4—5-ჯერ დღეში. დღე-ლამეში შეიძლება მიიღოთ 2 ჭიქა ყავა რძით (უშაქროდ) და 2 ჭიქა ასკილის ნახარში.

სიმსუქნის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის და დასვენების რეჟიმის სწორ შენაცვლებას. ძილი ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს. მოძრაობის რეჟიმში შედის: ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება დღის მეორე ნახევარში ან ძილის წინ 1 საათით ადრე (ქუჩაში, ბაღში, პარკში), ტერენკური (დოზირებული სვლა—კურორტის პირობებში) და შრომითი თერაპია (მუშაობა ბოსტანში, სახლში, ზამთრობით თოვლის ახვეტა ეზოში და სხვ.).

ფიზიკური ვარჯიშები, დიეტის დაცვასთან, განტვირთვის დღე-

ებთან ერთად კომპლექსში სიმსუჟნის I და II ხარისხის დროს მკურნალობის ერთ-ერთ წამყვან სახეობას წარმოადგენს.

ფიზიკური ვარჯიშები სიმსუჟნის დროს ენიშნებათ გულსისხლ-ძარღვთა სისტემის მდგომარეობის მიხედვით. I და II ხარისხის სიმსუჟნის დროს ხშირია გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის I ხა-რისხის მოვლენები. ამ დროს დამახასიათებელია ფიზიკური დატ-ვირთვისას ჩქარი დაღლა, ქოშინი, გულის ფრიალი, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში. მოსვენებულ მდგომარეობაში ეს მოვ-ლენები ისპობა; ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფებს საღამოობით აღენიშნებათ ქვემო კიდურების შეშუპება. ასეთი ავადმყოფები ძა-ლიან მგრძნობიარენი არიან ფიზიკური დატვირთვისადმი, მაგრამ სისტემატურმა დოზირებულმა ვარჯიშებმა შეიძლება მთლიანად აღადგინოს გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა და შრომისუნარია-ნობა.

ფიზიკური ვარჯიშების მიზანია მოვსპოთ პათოლოგიური სიმ-სუჟნე, აღვადგინოთ გულ-სისხლძარღვთა ფიზიოლოგიური ფუნქ-ცია, გავააქტივოთ პერიფერიული სისხლის მიმოქცევა, გავაუმჯო-ბესოთ უანგვა-აღდგენითი პროცესები, თანდათან გავამაგროთ გუ-ლის კუნთი, რათა ის თანდათან შეეგულს დატვირთვას, განვავითა-როთ სისხლის მიმოქცევის ექსტრაკარდიალური ფაქტორების მოქ-მედება, ჩონჩხის კუნთების მუშაობა და ნივთიერებათა ცვლა.

ბინის პირობებში უნდა ივარჯიშონ იმ ავადმყოფებმა, რომლებ-საც არა აქვთ საშუალება, დროის უქონლობის გამო, სისტემატუ-რად ჩატარონ სამკურნალო ტანვარჯიშის პროცედურები სამკურ-ნალო ფიზკულტურის კაბინეტში. ვარჯიშობის დაწყებამდე და ყოველ ორ კვირაში ერთხელ ისინი უნდა გამოცხადდნენ ექიმ სპე-ციალისტთან სამკურნალო ფიზკულტურის დარგში კონსულტაცი-ისათვის.

ჩვენ მიერ მოწოდებული სამკურნალო ტანვარჯიშის სამი კომპლექსი სიმსუჟნის სხვადასხვა ხარისხის დროს ფოტო სურათებზე წარმოდგენილია თანმიმდევრულად მზარდი სიძნელე-ების მიხედვით.\* სამკურნალო ტანვარჯიშის პროცედურა უნდა ჩატარდეს ყოველდღე 15—25—30 წუთის ხანგრძლიობით.

ვარჯიშები უნდა ტარდებოდეს სრულ ტანსაცმელში დილით,

\* შედგენილია რ. სვანიშვილის, მ. ეგოროვის და ლ. ლევიტოვსკის მიხედვით.

უზმოზე (წინასწარ ოთახის განივებისა და ტუალეტის შემდეგ) ან დღისით, საჭმლის მიღებიდან 2 საათის შემდეგ. ვარჯიშების ჩატარების დროს დაცულ უნდა იქნას კომპლექსში მოცემულ მოძრაობათა ტემპი და მოძრაობის განმეორების მინიმალური და მაქსიმალური რიცხვები. პირველი ორი-სამი დღის განმავლობაში დატვირთვა აუცილებლად მცირე დოზებით უნდა მოხდეს, ე. ი. თითოეული ვარჯიში განმეორდეს მინიმალური რაოდენობით; უფრო მოგვიანებით კი, როცა ავადმყოფის ფუნქციური შესაძლებლობანი და აღაპტაციის უნარი ვარჯიშობის მიმართ გაიზრდება და საშუალება შეიქმნება ვარჯიშების მეტჯერ განმეორებისა და ვარჯიშთა შორის პაუზების შემცირებისა, თანდათან შეიძლება საშუალო ინტენსივობის დატვირთვაზე გადასვლა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც არაა ნაჩვენები მოძრაობების შეფარდება სუნთქვასთან, უნდა ვაწარმოოთ ნებისმიერი სუნთქვა, სუნთქვითი ვარჯიშები კი უნდა იყოს რიტმული, შესუნთქვა უნდა წარმოებდეს ცხვირით, ხოლო განანგრძლივებული ამოსუნთქვა—პირით; ვარჯიშის დროს არ უნდა ხდებოდეს სუნთქვის შეჩერება.

თვითკონტროლის მიზნით ავადმყოფმა რომ იცოდეს თავისი გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქცია ფიზიკურ დატვირთვაზე, საჭიროა შემოწმდეს მაჯისცემის სიხშირე (15 წამის განმავლობაში) ვარჯიშობამდე, ვარჯიშის პროცესში, პაუზის დროს და მისი დამთავრების შემდეგ. თუ მაჯისცემის სიხშირე დასაწყისში უდრის 80, ვარჯიშების პროცესში იგი არ უნდა აღემატებოდეს წუთში 110, ხოლო ვარჯიშის დამთავრებისას იგი უნდა უბრუნდებოდეს თავის საწყის მდგომარეობას.

თუ სიმსუქნეს ახლავს ჰიპერტონიული დაავადება, საჭიროა წარმოებდეს წნევის გაზომვა პირველი სამი დღე ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ.

ორგანიზმის რეაქციის განსაზღვრა დატვირთვაზე ხდება არა მარტო მაჯისცემის სიხშირისა და სისხლის წნევის გაზომვით, არამედ ისეთი სუბიექტური მონაცემებითაც, როგორიცაა გუნებგანწყობა და სხვ.

ვარჯიშის ჩატარების დროს თავბრუ, მაჯისცემის ზედმეტად აჩქარება, საერთო სისუსტე, ქოშინი, ჩქარი დაღლა და ცუდი გუნებგანწყობა ორგანიზმის უარყოფით რეაქციას გულისხმობს, ამ შემთხვევაში ვარჯიში უნდა შევწყვიტოთ და მივმართოთ ექიმს. სასურველია თითოეულ ავადმყოფს სახლში ჰქონდეს თვით-

კონტროლის დღიური, რომელშიც ის შეიტანს ყოველდღიურ მონაცემებს ძილის, მაღის (კარგი თუ ცუდი), კუჭის მოქმედების, ჯუნებგანწყობის შესახებ, მაჯისცემის სიხშირეს დაძინებამდე, გაღვიძებისას, გაღვიძებიდან 10 წუთის შემდეგ, ვარჯიშის ჩატარების შემდეგ და რეჟიმის დარღვევის (გვიან დაძინება, ალკოჰოლის მიღება, თამბაქოს მოწევა და სხვ.) შემთხვევაში.

თუ სიმსუქნეს ახლავს პიპერტონიული დაავადება, ჯერ ავადმყოფმა უნდა ივარჯიშოს იმ კომპლექსით, რომელიც პიპერტონიული დაავადებისათვის არის მოწოდებული, ხოლო შემდეგ კი გადავიდეს სიმსუქნის მკურნალობისათვის შედგენილ ვარჯიშთა კომპლექსზე.

სიმსუქნის მკურნალობის კომპლექსში, გარდა ფიზიკური ვარჯიშისა და დიეტისა, შედის წყლის პროცედურები: პიგიენური შხაპი, აბაზანა, ზღვაში და მდინარეში ბანაობა.

წყლის პროცედურები ორგანიზმში აძლიერებს როგორც სითბოს წარმოშობას, ისე მის გაცემას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ქსოვილებში ცხიმის დალაგებას და განაპირობებს მის განლევას.



მედიკამენტური მკურნალობა დამოკიდებულია იმ ძირითად მიზეზზე, რომელიც განაპირობებს სიმსუქნეს. თუ სიმსუქნე ენდოგენური წარმოშობისაა და გამოწვეულია შინაგანი სეკრეციის გირკვლების მოშლით, ექიმის დანიშნულებით უნდა ჩატარდეს მკურნალობა თირეოიდინით, ფოლიკულინით და სხვა ენდოკრინული პრეპარატებით. საჭიროა ყურადღება მიექცეს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. ყაბზობის შემთხვევაში ავადმყოფებს ეძლევათ საფალარათო საშუალებები. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური უქმარისობის დროს საჭიროა გამოყენებულ იქნეს საგულე, შარდმდენი საშუალებები, დისტროფიული პროცესების საწინააღმდეგოდ — მკურნალობა ვიტამინების კომპლექსით, ლიპოტროპული ნივთიერებებით.

# სამძლებელო ტანგარჯიშის პოზების № 1





**ვარჯიში 1.** აღგილზე სიარული მუხლის მა-  
ლლა აწევით.  
ზომიერ ტემპში, 30-40 წამი.


**ვარჯიში 2.** საწყისი მდგომარე-  
ობა (ს.მ) — ფეხშლით დგომი;  
თვლაზე 1-2 — ცერებზე აწევით  
ზემკლავი, შესუნთქვა.  
„ 3-4 — ქუსლებზე  
დაშვებით გარე-  
რკალებით მიმ-  
კლავი, ამოსუნ-  
თქვა.  
ნელ ტემპში, 4-6-ჯერ.



**ვარჯიში 3. ს. მ.** — ფეხშლით  
დგომი. თითები მკერდის წინ  
მომუჭული.  
თვლაზე 1 — დრეკვით ღუნგანმ-  
კლავი და კვლავ საწყის მდგომა-  
რეობაში დაბრუნება;  
2 — იგივე.  
ზომიერ ტემპში, 12—16-ჯერ.




**ვარჯიში 4.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, დოინგი;  
 თვლაზე 1—ნახევრად ბუქნი, წინმკლავი;  
 „ 2—ადგომით მიმკლავი;  
 „ 3-4—იგივე, რაც 1-2;  
 „ 5-6—ბუქნი, წინმკლავი;  
 „ 7-8—საწყისი მდგომარეობა, პაუზა.  
 ნელ ტემპში, 4-ჯერ.



**ვარჯიში 5.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, დოინგი;  
 თვლაზე 1-2—ორი დრეკადი უკუზნექი, განმკლავი;  
 „ 3-4—ორი დრეკადი წინზნექი, ხელების  
 იატაკზე შეხებით;  
 ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.




**ვარჯიში 6.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, დოინგი;  
 თვლაზე 1-2—ორი დრეკადი ზნექი მარჯვნივ,  
 მარცხნა ზემქლავში;  
 „ 3-4—იგივე მარცხნივ, მარჯვენა ზემქლავში.  
 ზომიერ ტემპში, 4-6-ჯერ.



**ვარჯიში 7.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, განმქლავი, ხელის თითები  
 მუჭში;  
 თვლაზე 1—მკვეთრი ბრუნი მარჯვნივ;  
 „ 2—იგივე მეორე მხარეს.  
 ზომიერ ტემპში, 4-6-ჯერ.



**ვარჯიში 8.** ს.მ.—ზურგზე წოლი, მარჯვენა ხელი გულმკერდზე;  
მარცხენა მუცელზე;  
თვლაზე 1-2—გულმკერდ-დიაფრაგმული შესუნთქვა;  
” 3-6—ამოსუნთქვა;  
” 2-4-ჭერ.



**ვარჯიში 9.** ს.მ.—ზურგზე წოლი;  
თვლაზე 1—ფეხების მოხრა (ლუნვა);  
” 2—წინშვერი (ფეხების გამართვა);  
” 3-4—გამართული ფეხების ნელი დაშვება  
იატაქზე.  
ნელ ტემპში, 6-8-ჭერ.



**გარჯოში 10.** ს. მ.—ჩოქბუქნი;

თვლაზე 1—ქუსლებზე ჭდომი;

” 2-3—ღუნწოლბჯენი;

” 4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.  
ნელ ტემპში, 4-6-ჯერ.



**გარჯოში 11.** ს. მ.—ზურგზე ფეხშლით

წოლი, განმკლავი;

თვლაზე 1-2 მარჯვენა ფეხი მარცხნივ  
ჭვარედინად (მარცხენის გადა-  
ცილებით);

” 3-4—საწყის მდგომარეობაში  
დაბრუნება;

” 5-8—იგივე მარცხენა ფეხით.

ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.




**გარჯოში 12.** ს. მ.—ჩოქ-

ბუქნი;

თვლაზე 1-8—წინნოხვა;

„ 9-16—უკან ხოხვა.

ნელ ტემპში, 2-ჯერ.



**გარჯოში 13.** ს.მ.—დგომი, ღოინჯი;

თვლაზე 1—მარჯვენასი წინფეხაქნევი;

„ 2—საწყისი მდგომარეობა;

„ 3-4—იგივე მეორე ფეხით.

ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.



**გარჯოში 14.** ს. მ.—ფეხშლით დგომი,  
ღოინჯი;

თვლაზე 1-2—შესუნთქვა;

„ 3-4-6—გახანგრძლივე-


ბული ამოსუნთქვა,

4-6-ჯერ.


სამკურნალო თანვარჯიშის პომპლესი №2



**ვარჯიში 1.** სიარული წინსვლით.  
50-60 წამი.




**ვარჯიში 2.** ს. მ.—დგომი, თითები  
გადახლართული;  
თვლაზე 1-2—მარჯვენის უკუფეხი  
ცერზე, ზემქლავი, შესუნთქვა;  
„ 3-4—საწყისი მდგომარეობა, ამო-  
სუნთქვა;  
„ 5-8—იგივე მეორე ფეხით.  
ნელ ტემპში 2-4-ჭერ.




**ვარჯიში 3.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, თითები მკერდის წინ მო-  
მუჭული;  
თვლაზე 1-2 დრეკვითი ღუნგანმქლავი;  
„ 3-4 დრეკვითი განმქლავი.  
ჩქარ ტემპში, 8-12-ჭერ.




**ვარჯიში 4.** ს.მ.—ფეხშლით დგომი;  
 თვლაზე 1—ნახევრად ბუქნი, ზემკლავი;  
 2—ადგომით, მიმკლავი;  
 3-4—გამეორება 1-2 თვლის;  
 5-6—ბუქნი, ზემკლავი;  
 7-8—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.  
 ზომიერ ტემპში, 4-6-ჯერ.



**ვარჯიში 5.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, თითები გადახლართული  
 თავსუკან, იღაყვები განზე;  
 თვლაზე 1-2—ორი დრეკადი უკუზნექი, განმკლავი;  
 3-4—ორი დრეკადი წინზნექი, ხელები  
 საწყის მდგომარეობაში.  
 ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.



**ვარჯიში 6.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, განმკლავი;  
 თვლაზე 1—ზნექი მარცხნივ, მარჯვენა ხელშნევით  
 თავის უკან და მარცხენა ხელშნევი უკან;  
 „ 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;  
 „ 3-4—იგივე მარჯვნივ.  
 ზომიერ ტემპში, 4-6-ჯერ.




**ვარჯიში 7.** ს.მ.—ფეხები განხე, განმკლავი;  
 თვლაზე 1—წინზნექი, მარჯვენა ხელით მარცხენა  
 ცერის შეხება, მარცხენა ხელი უკან;  
 „ 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;  
 „ 3-4—იგივე მეორე მხარეს.  
 ზომიერ ტემპში, 4-6-ჯერ.



**ვარჯიში 8. ს. მ.** — წოლი ზურგზე; მარჯვენა ხელი გულმკერდზე, მარცხენა მუცელზე;

გულმკერდ-დიაფრაგმული სუნთქვა გახანგრძლივებული ამოსუნთქვით.

2-4-ჯერ.




**ვარჯიში 9. ს. მ.** — წოლი ზურგზე, ტაცი ზემკლავში;

თვლაზე 1-2 — გამართული ფეხების აწევა;

„ 3-4 — ნელი დაშვება.

6-8-ჯერ.





**გარჯიში 10.** ს.მ.—ჩოქბუქნი;

თვლაზე 1-2—ხელების მოხრა, უკუფეხი;

„ 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;

„ 5-8—იგივე მეორე ფეხით.

ზომიერ ტემპში, 4-6-ჯერ.



**გარჯიში 11.** ს.მ.—წოლი ზურგზე; თანმიმდევრული წრიული

მოძრაობები ფეხებით („ველოსიპედის“ იმიტაცია).

ზომიერ ტემპში, 8-10-ჯერ.



**გარჯიში 12.** ს. მ.—წოლი ზურგზე;

გულმკერდ-დიაფრაგმული


სუნთქვა გახანგრძლივე-

ბული ამოსუნთქვით.

2-4-ჯერ.




**ვარჯიში 13. ს. მ.** დგომი, ზემქლავი;  
 თვლაზე 1—მარჯვენის წინ ზეაქნევით  
 ტაში ფეხქვეშ;  
 „ 2—საწყის მდგომარეობაში დაბ-  
 რუნება;  
 3-4-იგივე მარცხენა ფეხით.  
 ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.




**ვარჯიში 14. ს.მ.**—ფეხშლით დგომი;  
 თვლაზე 1-2-ზემქლავი, შესუნთქვა;  
 „ 3-4—ხელის მტევნების, იდაყვების და  
 მხრების დაშვება (ჩამოყრა), ამოსუნთქვა.  
 2-ჯერ,

საქართველოს ტანგარჯიშის კომისიის № 3




**ვარჯიში 1.** სიარული განმკლავით, წინმკლავით და ღოინჯით  
ცვალებადად 8-8 ნაბიჯზე.  
ზომიერ ტემპში. 2-3-ჯერ.




**ვარჯიში 2.** ს. მ.—თითები გადახლართული,  
თვლაზე 1-2—მარჯვენის უკუფეხი;  
ზემკლავი.  
„ 3-4—საწყის მდგომარეობაში  
დაბრუნება;  
„ 5-8—იგივე მეორე ფეხით.  
ნელ ტემპში 4-ჯერ.




**ვარჯიში 3.** ს. მ. ფეხშლით დგომი ღუნმი-  
მქლავი მხრებზე;  
მხრებში ტრიალი ნელი ტემპიდან  
ჩქარ ტემპზე გადასვლით.  
ვარჯიში სრულდება 12-ჯერ თვი-  
თეულ მხარეს.



**ვარჯიში 4.** ს. მ.—ფეხშლით დგომი, მხრებზე განივრად, დოინგი;  
თვლაზე 1—ბრუნით მარჯვნივ, მარჯვენასი მოხრა,  
ხელები მუხლზე;  
” 2—საწყისი მდგომარეობა;  
” 3-4—იგივე მეორე მხარეს.  
ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.






**გარჯიში 5.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, თითები გადახლართული;  
თვლაზე 1—წელში გაზნექით ზემკლავი;  
„ 2—წინზნექი (ქნევით ზღვრამდე) მკლავების  
ფეხებს შორის უკან გადატანით (შეშის ჩე-  
ხვის იმიტაცია);  
„ 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება  
და პაუზა.  
ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.




**გარჯიში 6.** ს.მ.—ფეხშლით დგომი, განმკლავი;  
თვლაზე 1—ფეხებისმოხრით ზნექი მარჯვნივ;  
„ 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;  
„ 3-4-იგივე მეორე მხარეს.  
ზომიერ ტემპში, 8-ჯერ.

**ვარჯიში 7. ს. მ.**—ფეხშლით დგომი,  
დოინგი;  
თვლაზე 1-2—შესუნთქვა;  
„ 3-4-5-6—გახანგრძლი-  
ვებული ამოსუნთქვა.  
4-6-ჯერ.



**ვარჯიში 8. ს. მ.**—ფეხშლით დგომი, თითები  
გადახლართული;  
თვლაზე 1-4-ზეტანის ტრიალი მარც-  
ხნიდან მარჯვნივ, ზემქლავი;  
„ 5-8-იგივე მეორე მხარეს.  
ნელ ტემპში, 4-ჯერ.



**გარჯიში 9.** ს. მ.—მარჯვენა ფეხი სკამზე; ზემქლავი;


თვლაზე 1-2—წინზნექი; ხელების მარჯვენა ცერთან შეხებით;

„ 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;

„ 5-6—წინზნექი, ხელების მარცხენა ცერთან შეხებით;

„ 7-8—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;

იგივე მარცხენა ფეხით სკამზე. ზომიერ ტემპში, 4-ჯერ.



**გარჯიში 10.** ს. მ.—ზურგზე

წოლი, მარჯვენა ხელი მკერდზე, მარცხენა მუცელზე; თვლაზე 1-2—გულ-

მკერდ-დიაფრაგმული შესუნთქვა 3-4—ამოსუნთქვა 4-ჯერ.



**გარჯიში 11.** ს. მ.—ფეხშლით ჭდომი ზემქლავი:


თვლაზე 1—მარცხნივ წინზნექი;

„ 2—ზემართი;

„ 3—მარჯვნივ წინზნექი;

„ 4—ზემართი.

ზომიერ ტემპში, 4-ჯერ.



**გარჯიში 12.** ს. მ.—ზურგზე წოლი, ზემქლა-

ვი, ფეხები ფიქსირებული;

თვლაზე 1-2—ძალით ჭდომში გადა-  
სვლა;

„ 3-4—წინზნექი;

„ 5-6—ზურგზე დაწოლა;

„ 7-8—პაუზა


ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.



**გარჯიში 13.** ს. მ.—ზურგზე წოლი;

თვლაზე 1-4 — ფეხებით წრეები  
მარცხნივ—წინ—მარჯვნივ—  
ქვევით.

იგივე მეორე მხარეს.  
ნელ ტემპში, 4-ჯერ.




**გარჯიში 14** ს. მ.—ზურგზე წოლი;

თვლაზე 1-4—ცალ ხელზე დაბჭენით აღგომი;

” 5-8—ზურგზე დაწოლა.

ზომიერ ტემპში, 6-8-ჯერ.



**გარჯიში 15.** ს. მ.—სახით სკამი-

საკენ 1-1,5 ნაბიჯზე  
დგომი დოინჯი;


თვლაზე 1—მარჯვენის  
გადაქნი სკამის ზურგის

გადაცილებით;



” 2—პაუზა

” 3-4—იგივე მეორე  
ფეხით.

ნებისმიერ ტემპში, 4-6-ჯერ.



**გარჯიში 16.** ს. მ.—ზურგზე წოლი, ფეხებს შორის ტენილი ბურთი (2-4-კგ); თვლაზე 1-2—ფეხების მოხრა; „3-4—გამართული ფეხების იატაკზე დაშვება. 4-6-ჭერ, პაუზა და ისევ, 4-6-ჭერ.



**გარჯიში 17.** ს. მ.—ფეხშლით დგომი; თვლაზე 1-2—ზემქლავი შესუნთქვა; „ 3-4—ხელის მტევნების, იღაყვების და მხრების თანმიმდევრობით მოდუნებით დაბლა დაშვება (ჩამოყრა), ამოსუნთქვა. ნელ ტემპში, 4-ჭერ.

**გარჯიში 18.** ორი ნაბიჯი წინ, განმკლავი. შესუნთქვა; ორი ნაბიჯი წინ—მოდუნებული მკლავების ქვევით ჩამოყრით, ამოსუნთქვა. ნელ ტემპში, 60 წამი.



## შ ი ნ ა პ რ ს ი

სამკურნალო ტანვარჯიშის კომპლექსი № 1	.	.	.	8
სამკურნალო ტანვარჯიშის კომპლექსი № 2	.	.	.	14
სამკურნალო ტანვარჯიშის კომპლექსი № 3	.	.	.	20

---

საზოგადოებრივი რედაქტორი დოც. რ. სვანიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ც. ვანიძე

მხატვარი ა. მინდიაშვილი  
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე  
კორექტორი ც. უნდილაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII—65 წ.  
ქაღალდის ზომა 60X84 1/16. ნაბეჭდი  
თაბახი 1:59, სააღრ-საგამომც. თაბახი 1,05.  
უ 10078. ტირაჟი 2000. შეკვ. № 134

### ფასი 4 კაპიკი

გამომცემლობა „საბჭოთა სიქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5

\*

სტამბა № 3, თბილისი, ბლენანვის 181  
Типография № 3, Тбилиси, Плеханова 181